დამტკიცებულია
კოლეჯის დირექტორის
2023 წლის 9 დეკემბრის N15651

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი (შემდგომში კოლეჯი), უზრუნველყოფს კოლეჯის მფლობელობაში არსებული ტერიტორიაზე/სივრცეებში (ქ. თბილისისა და ქ.თელავის სასწავლო ფართზე) მყოფი პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პერსონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების გამოყენებას.
2. კოლეჯში პირველად გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანზიმების დანერგვასა და შესრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი.
3. კოლეჯში პირველად გადაუდებელ დახმარებას უზრუნველყოფს პირი, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების კურსი.
4. კოლეჯში, თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებულია სამედიცინო ყუთი, რომელშიც მოთავსებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმონოჩენისათვის აუცილებელი საშუალებები, რომლის შესახებ ინფორმირებულია კოლეჯის ყველა თანამშრომელი.
5. კოლეჯში, პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:
- საჭიროების შემთხვევაში პირველადი (ექიმის მოსვლამდე) გადაუდებელი დახმარება გაუწიოს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, თანამშრომელს და კოლეჯის სტუმარს(არსებობის შემთხვევაში).
- საჭიროების შემთხვევაში, მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს სასწრაფო დახმარების გამოძახება;
- შემთხვევა დააფიქსიროს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღრიცხვის ჟურნალში.
- გააკონტროლოს პირველადი დახმარების ყუთის შემადგენლობა და საჭიროების შემთხვევაში საქმის კურსში ჩააყენოს კოლეჯის ადმინისტრაცია, პირველადი დახმარების ყუთის განახლებასთან დაკავშირებით.

6. პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯში უზრუნველყოფს:
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვაზე კონტროლს;
- საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო ბრიგადის დახმარების გამოძახებას.

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომსახურების მიმღები პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველყოფას.
- პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო რესურსის შესაძენად წერილობითი მოთხოვნის წარდგენას;
- პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო რესურსის უსაფრთხო შენახვისა და მოხმარების ადმინისტრირებას;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას, რომელიც ემსახურება კოლეჯში არსებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების სრულყოფასა და განვითარებას.

7. კოლეჯის შენობაში გამოკრული უნდა იყოს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო რეკვიზიტები, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი ზომების მიღებას.

8. უბედური შემთხვევის აღმომჩენმა პირმა კოლეჯში შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- დარეკოს ,,112“
- დაუყონებლივ აცნობოს პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელ პირს, კოლეჯის დირექტორს და დასაქმებულთა წარმომადგენელს.
- დროულად მოუხმოს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელ პირს, რათა აღმოუჩინოს დაზარალებულს პირველადი დახმარება.
- არ გადაადგილოს დაზარალებული სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის მოსვლამდე, გარდა იმ გარემოებისა, როდესაც შემთხვევის ადგილზე დარჩენა სახიფათოა.

შემთხვევის ადგილზე დაზარალებულისთვის პირველი დახმარების გაწევის დროს გამოიყენება სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმი - DRS ABCD

- D- საშიშროება
- R- ცნობიერება
- S- დახმარების მოხმობა
- A- სასუნთქი გზები
- B- სუნთქვა
- C- გფრ
- D- დეფიბრილაცია

D - Danger - საშიშროება - შეაფასეთ გარემოში არსებული საფრთხეები, უზრუნველყავით თქვენი და დაზარალებულის უსაფრთხოება, თუ გარემოში საფრთხეა გადაიყვანეთ დაზარალებული უსაფრთხო ადგილას, თუ თქვენ არ შეგიძლიათ დაზარალებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეცადეთ მოაშოროთ საშიშროების წყარო დაზარალებულს. გახსოვდეთ, ზოგჯერ გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა სპეციალური სამსახურების (პოლიცია, სახანძრო, გაზის სამსახური) გამოძახება.

R - Response - ცნობიერება - მსუბუქად შეეხეთ დაზარალებულს მხარზე და ჰკითხეთ – როგორ ხართ? თუ პაციენტი არ გპასუხობთ ე.ი. უგონო მდგომარეობაშია (განგაშის

საფუძველი), თუ შემთხვევის ადგილას იმყოფებით მარტო და პაციენტი უგონო მდგომარეობაშია, მოუხმეთ ვინმეს დასახმარებლად. სთხოვეთ გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო სამსახური.

S - Send for help - დახმარების მოხმობა - სასწრაფო დახმარების ან სამაშველო სამსახურის გამოძახება. შემთხვევის ადგილზე თქვენ შეიძლება ერთდროულად დაგჭირდეთ უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება ტელეფონით, პირველი დახმარების გაწევა. ამიტომ დროულად მოუხმეთ დახმარებას. თუ დაგჭირდათ სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახება გადაეცით დისპეტჩერს (ადამიანს, რომელსაც ელაპარაკებით) ზუსტი ინფორმაცია: თქვენი ტელეფონის ნომერი, თქვენი მისამართი (უბედური შემთხვევის ადგილმდებარეობა). რა უბედური შემთხვევა მოხდა და რამდენად სერიოზულია ის, ასევე დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა (მაგალითად, მოზარდი, 17 წლის, აქვს სისხლდენა ხელიდან), ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია. არასოდეს არ დაკიდოთ ყურმილი პირველმა, რადგან შეიძლება დისპეტჩერმა დაგისვათ დამატებითი კითხვები;

A - Airway – სასუნთქი გზები-შეამოწმეთ თავისუფალი აქვს თუ არა დაზარალებულს სასუნთქი გზები (ცხვირი, პირი) და შეუძლია თუ არა ნორმალურად სუნთქვა. დახშული სასუნთქი სისტემა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობას წარმოადგენს. თუ ადამიანი წევს გულაღმა უგონო მდგომარეობაში მყოფი დაზარალებულის სასუნთქი გზების დახშობის უხშირესი მიზეზია ენა.

B - Breathing – სუნთქვა - ნორმალური სუნთქვა არის მშვიდი, რეგულარული; უხმაურო, არ იწვევს დისკომფორტს ან ტკივილს. გონებადაკარგული ადამიანი შეიძლება სუნთქავდეს მძიმედ, ქოშინით - აგონიური სუნთქვა. სასუნთქი გზების გამავლობის გახსნის შემდეგ შეამოწმეთ სუნთქვა ,,სამი ვ"- ს მეთოდით 5-10 წამის განმვლობაში - ვუსმენ სუნთქვას, ვგრძნობ ჰაერის ნაკადს კანზე, ვხედავ გულმკერდის მოძრაობას.

C – CPR - გულ-ფილტვის რეანიმაცია - გულის არაპირდაპირი მასაჟი ხელს უწყობს გულის ამუშავებას და თავის ტვინის სისხლით მომარაგების უზრუნველყოფას.

D – Defibrillation - დეფიბრილაცია - ტარდება სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში, რომლებიც საჭიროებენ დაუყოვნებლივ ჩარევას, ეს არის ერთიანი ძლიერი ელექტრული მუხტის გამოყენებით გულის რიტმის ნორმალიზება ან აღდგენა.

დანართი N1

პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის მეთოდები

1. **პირველი დახმარება გულის წასვლის დროს:**

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და ქვედა კიდურები აუწიეთ ფეხები ზევით;
- უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
- დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური;

- მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ მას ნელ-ნელა წამოჯდომაში;
- გულმოდგინედ ჩაატარეთ განმეორებითი დათვალიერება, რადგან შესაძლებელია დაცემისას დაზარალებულს მიეღო ტრავმა, გაუწიეთ პირველი დახმარება დაზიანების შესაბამისად.
- თუ დაზარალებულს სწრაფად არ უბრუნდება ცნობიერება, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და საჭიროების შემთხვევაში მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩასატარებლად.
- თუ გონზე მოსვლის შემდეგ დაზარალებული კვლავ ცუდად გრძნობს თავს, ურჩიეთ მას დაწვეს ზურგზე და აუწიეთ ფეხები, სანამ ზოგადი მდგომარეობა ბოლომდე არ გაუმჯობესდება.

2. გულ-ფილტვის რეანიმაციის(გფრ) შესრულების ტექნიკა

- გულის არაპირდაპირი მასაჟი არის მკერდის ძვალზე რითმული ზეწოლები, რაც იწვევს: გულის მიჭყლეტას მკერდის ძვალსა და ხერხემალს შორის და უზრუნველყოფს სასიცოცხლო ორგანოების მომარაგებას სისხლითა და ჟანგბადით.
- დადექით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ. დარწმუნდით, რომ დაზარალებული წევს მყარ და სწორ ზედაპირზე. თუ დაზარალებული წევს მუცელზე, ფრთხილად გადმოაბრუნეთ (მორის ტრიალის პრინციპით) ზურგზე.
- გახადეთ ტანსაცმელი და გააშიშვლეთ გულმკერდი. თქვენ უნდა ხედავდეთ კანს.
- მოძებნეთ დაზარალებულის დვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი, ამ წერტილის ქვევით ვათავსებთ ერთ ხელს, ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი; ეს არის ის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა; დაადეთ მტევანი ზემოდან მეორე ხელს, შეჭიდეთ თითები და ასწიეთ ზემოთ ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი;
- ხელები გამართეთ იდაყვის სახსარში. გადმოიხარეთ ისე, რომ თქვენი მხრები იყოს ზუსტად პაციენტის სხეულის ზემოთ;
- აწარმოეთ სწრაფი და ძლიერი ზეწოლები, ისე რომ ზეწოლის შედეგად გულმკერდმა ჩაიწიოს 4-5 სმ სიღრმეზე;
- დარწმუნდით, რომ თითოეული ზეწოლის შემდეგ გულმკერდი აღიდგენს საწყის მოცულობას;
- აწარმოეთ ზეწოლები თანაბრად, სიხშირით წუთში 100-120 ზეწოლა;
- 30 ზეწოლის შემდეგ ვაწარმოებთ 2 ჩაბერვას არანაკლებ 1 წმ ერთი ჩაბერვა;
- შეინარჩუნეთ სასუნთქი გზების გამავლობა თავის უკან გადაწევით და ნიკაპის წინ და ზევით წამოწევით.
- დაახშეთ ნესტოები ცერა და საჩვენებელი თითების საშუალებით (გამოიყენეთ შუბლზე მოთავსებული ხელი).
- გააკეთეთ ჩვეულებრივი ჩასუნთქვა (არაღრმა) და მოათავსეთ თქვენი პირი დაზარალებულის პირის გარშემო ჰერმეტულად. (გამოიყენეთ ცხვირსახოცი, დოლბანდი)

- გააკეთეთ ერთი ჩაბერვა (1 წამის მანძილზე). ჩაბერვის დროს დააკვირდით გულმკერდის ექსკურსს.
- თუ ჩაბერვის შედეგად გულმკერდის ექსკურსს ვერ მიიღებთ, სცადეთ კიდევ ერთხელ სასუნთქი გზების გახსნა თავის უკან გადაწევით და ნიკაპის წამოწევით.
- თუ ჩაბერვებს აწარმოებთ ძალიან სწრაფად ან ძლიერად, ჰაერი მეტი ალბათობით მოხვდება კუჭში ვიდრე ფილტვებში. ამან შეიძლება გამოიწვიოს კუჭის გადაბერვა
- თითოეული ჩაბერვა გააკეთეთ 1 წამის მანძილზე
- ჩაბერეთ მხოლოდ იმ რაოდენობის ჰაერი, რამდენიც საჭიროა გულმკერდის ექსკურსის მისაღებად.

3. როდის ვწყვეტთ გფრ-ს

- როცა დაზარალებული იწყებს მოძრაობას და/ან აღსდგა სუნთქვა და გულისცემა;
- სასწრაფო გადაუდებელი სამსახურის გუნდი მოვიდა და მზადაა მუშაობას შეუდგეს;
- როცა გადაიღალეთ და ვეღარ ანხორციელებთ გფრ-ს;
- თუ გარემო არის სახიფათო;
- გამოიხატა სიკვდილის ნიშნები;